

### 13. დაქირავებული შრომა კოლექტივისტურ საზოგადოებაში

#### I

ჩვენი აზრით, საზოგადოების გარდაქმნის დაგეგმვისას, კოლექტივისტები ორმაგ შეცდომას უშვებენ: მათ სურთ კაპიტალისტური წყობის გაუქმება და ამავე დროს, ცდილობენ იმ ორი სტრუქტურის შენარჩუნებას, რომელიც მის საფუძველს შეადგენს: წარმომადგენლობითი მმართველობის და დაქირავებული შრომის.

რაც შეეხება, ეგრეთ წოდებულ, წარმომადგენლობით მმართველობას, მასზე ხშირად მოგვიწია საუბარი. <sup>46</sup> ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეუძლიათ ჭკვიან ადამიანებს - ხოლო, ასეთების ნაკლებობა არ არის კოლექტივისტურ პარტიაში - დარჩენენ ნაციონალური და მუნიციპალური პარლამენტების მომხრედ, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, შვეიცარიის, აშშ-ის ისტორიული გაკვეთილების შემდეგ. ვხედავთ, რომ პარლამენტარიზმი ყველგან იშლება და მატულობს კრიტიკა, არა მხოლოდ ამ სისტემის გამოყენების, არამედ მისი პრინციპების მისამართითაც; როგორ შეუძლიათ სოციალისტ-რევოლუციონერებს დაიცვან მმართველობის ეს სასიკვდილოდ განწირული სისტემა? წარმომადგენლობითი მმართველობა, ბურჟუაზიის მიერ იქნა შემუშავებული, ერთი მხრივ, სამეფო ხელისუფლების საწინააღმდეგოდ; ხოლო, მეორე მხრივ, მუშებზე ბატონობის განსამტკიცებლად. იგი ისტორიაში წარმოადგენს, უმეტეს წილად, ბურჟუაზიული წყობის ფორმას. ამ სისტემის დამცველებს, სერიოზულად არასოდეს დაუწყიათ იმის მტკიცება, რომ პარლამენტი ან მუნიციპალური საბჭო ნამდვილად **წარმოადგენდა** ნაციას ან ქალაქს: მათგან ყველაზე ბრძენებმა იციან, რომ ეს შეუძლებელია. წარმომადგენლობითი მმართველობით, ბურჟუაზიას საშუალება მიეცა ჯებირი აღემართა სამეფო ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საწინააღმდეგოდ. ამავე დროს, არც ხალხს მიეცა თავისუფლება. მაგრამ, რაც უფრო მეტად იაზრებს ხალხი საკუთარ ინტერესებს, მით უფრო იზრდება თავად ინტერესებიც და ეს სისტემა გამოუსადეგარი ხდება. ამიტომ, დემოკრატები ყველა ქვეყანაში, ამაოდ ცდილობენ მოძებნონ სხვადასხვა შესწორება: შვეიცარიაში მოსინჯეს, კანონისთვის საერთო სახალხო ხმის მიცემის მეთოდი (referendum) და დარწმუნდნენ, რომ არც ეს არის გამოსადეგი; ბელგიაში, ლაპარაკობენ პროპორციულ (უმცირესობის) წარმომადგენლობითობაზე ანუ ისევ, სხვადასხვა საპარლამენტო უტოპიაზე. ერთი სიტყვით, ეძებენ იმას, რისი პოვნაც შეუძლებელია. ბოლოს და ბოლოს, მოუწევთ აღიარონ, რომ მცდარ გზას დაადგინენ. ხალხში, სულ უფრო მცირდება წარმომადგენლობითი მმართველობის რწმენა.

იგივე ითქმის, დაქირავებული შრომის შესახებაც. იმ განცხადების შემდეგ, რომ აუცილებელია კერძო საკუთრების გაუქმება და წარმოების იარაღებზე

კოლექტიური მფლობელობა, ნუთუ შესაძლებელია დაქირავებული შრომის ამა თუ იმ ფორმით შენარჩუნების მოთხოვნა? ხოლო, შრომის ჩეკის (ვაუნერის) შესახებ ქადაგებით, კოლექტივისტები სწორედ ამას აკეთებენ.

გასაგებია, როდესაც ამ სისტემას საუკუნის დასაწყისში სთავაზობდნენ ინგლისელი სოციალისტები (რობერტ ოუენი): მათ სურდათ, **შრომის შერიგება კაპიტალთან** და უკუაგდებდნენ ყოველგვარ ფიქრს, კაპიტალისტების საკუთრების ძალადობრივი გზით დარღვევაზე. ისიც გასაგებია, რომ აღნიშნული აზრი, შემდგომ მიიღო პრუდონმა: თავისი ურთიერთ-საკრედიტო სისტემით ის ცდილობდა კაპიტალი ნაკლებად მაგნე ყოფილიყო კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში, რომელიც მას მთელი არსებით სძულდა, თუმცა, სახელმწიფოს წინაშე დარჩენილი პიროვნებისთვის, აუცილებელ გარანტიად მიაჩნდა. ასევე, გასაკვირი არ არის, რომ შრომის ჩეკებს აღიარებენ, მეტნაკლებად, ბურჟუაზიული ეკონომისტები. მათთვის სულერთია, მშრომელი ანაზღაურებას ასეთი ფორმით მიიღებს თუ რესპუბლიკის ან იმპერიის გამოსახულებიანი ფულით. მათ სჭირდებათ დარბევის საფრთხისგან დაიცვან, კერძო საკუთრება საცხოვრებელ სახლებსა და საფაბრიკო წარმოებისთვის საჭირო კაპიტალზე. ამ მიზანს სრულებით შეესაბამება შრომის ჩეკების შემოღება. ოღონდ შესაძლებელი იყოს ამგვარი ჩეკის გადაცვლა ყოველგვარ ძვირფასეულობაზე და სახლის მეპატრონე ხალისით მიიღებს მას ბინის ქირის გადახდისას. იქამდე კი, სანამ საცხოვრებელი სახლები, მიწა და ქარხნები ცალკეულ მესაკუთრეებს ეკუთვნით, მშრომელს უნებურად მოუწევს ამა თუ იმ ფორმით გადაუხადოს მათ, რათა საშუალება ჰქონდეს იმუშავოს მათ მინდვრებზე, ქარხნებში და იცხოროს მათ სახლებში.

მაგრამ, როგორ უნდა დავიცვათ შრომის ჩეკის არსებობა - დაქირავებული შრომის ეს ახალი ფორმა - თუ ვუშვებთ, რომ სახლები, მინდვრები და ქარხნები აღარ წარმოადგენენ კერძო საკუთრებას, არამედ თემის და მთელი ნაციის საკუთრებაა? ეს ჩვენთვის გაუგებარია.

## II

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ შრომის ანაზღაურების ეს მეთოდი, რომელსაც ფრანგი, გერმანელი, ინგლისელი და იტალიელი კოლექტივისტები ქადაგებენ.<sup>47</sup> იგი დაახლოებით, შემდეგ მოსაზრებამდე დაიყვანება: “ყველა მუშაობს - მინდორში, ქარხანაში, სკოლაში, საავადმყოფოში და ა.შ. სამუშაო დღის ხანგრძლივობას ადგენს სახელმწიფო, რომელსაც ეკუთვნის მიწა, ქარხნები, კავშირგაბმულობის საშუალებები და სხვ. ყოველი სამუშაო დღე ანაზღაურდება შრომის ჩეკით, რომელზეც აღნიშნულია, ვთქვათ - “რვა სამუშაო საათი”. სახელმწიფოს ან სხვადასხვა კავშირების კუთვნილ მაღაზიაში, მუშას შეუძლია შეიძინოს ყველა სახის პროდუქტი. ჩეკი დანაწევრდება ფულის

მსგავსად. მაგალითად; ერთი სამუშაო სააათით შესაძლებელი იქნება ხორცის ყიდვა, ათი წუთით - ასანთის, ნახევარი სააათით - თამბაქოსი. კოლექტივისტური რევოლუციის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ თქვან: “მომეცით, ოთხი სუს საპონი”, იტყვიან: “მომეცით, ხუთი წუთის საპონი”.

ამას გარდა, კოლექტივისტების უმრავლესობა, ბურჟუაზიული ეკონომისტების (და მარქსის) მიერ შემოღებული შრომის დაყოფის ერთგული რჩება - რთულ (კვალიფიციურ) შრომად, რომელსაც გარკვეულწილად, წინასწარი მომზადება სჭირდება და მარტივ შრომად. ისინი ამბობენ, რომ რთული ანუ პროფესიული შრომის ანაზღაურება უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე მარტივის. მაგალითად; ექიმის მუშაობის ერთ საათს შეესაბამება ექთნის ორი-სამი საათი ან მიწის მთხრელის სამი საათი. “პროფესიულ ანუ კვალიფიციურ შრომას, უფრო მეტი ღირებულება ექნება, ვიდრე მარტივს” - ამბობს კოლექტივისტი გრენლუნდი, რადგან ამგვარ შრომას სჭირდება, მეტნაკლებად ხანგრძლივი სწავლება.<sup>48</sup>

სხვა კოლექტივისტები, მაგალითად, ფრანგი მარქსისტები, არ ცნობენ ამგვარ განსხვავებას და საუბრობენ “თანასწორ ანაზღაურებაზე”. ექიმი, მასწავლებელი, პროფესორი იგივე ანაზღაურებას მიიღებს (შრომის ჩეკების სახით), როგორსაც მიწის მთხრელი. საავადმყოფოში, პაციენტების მიღებაში გატარებულ რვა საათს იგივე ღირებულება ექნება, რაც მიწის მთხრელის შრომას ან ფაბრიკაში მუშაობას.

ბოგიერთები, კიდევ ერთ დათმობაზე მიდიან და თვლიან, რომ არასასიამოვნო ან ჯანმრთელობისთვის მავნე სამუშაო - მაგალითად; საკანალიზაციო გაყვანილობაზე მუშაობა - უფრო მეტი უნდა ღირდეს, ვიდრე სასიამოვნო შრომა. რის მიხედვითაც ვთქვათ, მიწისქვეშა საკანალიზაციო არხებზე მუშაობა შეესაბამებოდა, პროფესორის ორ საათიან შრომას. აქვე დავამატოთ, რომ ბოგიერთი კოლექტივისტისთვის მისაღებია ანაზღაურების მიღება იმ ჯგუფების თუ კავშირების შესაბამისად, რომელშიც მშრომელი იმუშავებს. ლითონის ჩამომსხმელთა გაერთიანება იტყოდა: “აი, ასი ტონა ფოლადი. მადნის მოპოვებისას, რკინის ჩამოსხმისას და ა.შ. მუშაობდა ასი მუშა, ათი დღის განმავლობაში. გამომდინარე იქიდან, რომ სამუშაო დღე რვა საათისგან შედგება, ეს ჯამში შეადგენს რვა ათას სამუშაო დღეს ასი ტონა ფოლადის მისაღებად ანუ ოთხმოც საათს, ერთ ტონაზე”. მაშინ, მთავრობა გამოყოფდა რვა ათასს, თითო საათიან სამუშაო ჩეკს, რომელიც შემდეგ დარიგდებოდა მოცემული ქარხნის მუშებს შორის, მათი შეხედულების მიხედვით. მაგალითად; ქვანახშირის მომპოვებლებს, რვა ათასი ტონა ქვანახშირის მოსაპოვებლად დასჭირდებოდათ ოცი დღე; ამიტომ, ერთი ტონა ქვანახშირის ფასი იქნებოდა ორი საათი და თექვსმეტი ათასი თითო საათიანი შრომის ჩეკი, რომელსაც მთელი გაერთიანება მიიღებდა, რის შემდეგაც გადაანაწილებდნენ წევრებს შორის, მათი მოსაზრების მიხედვით. ქვანახშირის მომპოვებლებს, პროტესტის

ნიშნად რომ ეთქვათ ერთი ტონა ფოლადის ფასი ოთხმოცის ნაცვლად, მხოლოდ სამოცი საათიაო; ან ექიმს მოენდომებინა, რომ მისი ერთსაათიანი შრომა ისევე ანაზღაურებულიყო, როგორც მედდის შრომის ორი საათი, მაშინ საქმეში ჩაერეოდა სახელმწიფო და მოაგვარებდა უთანხმოებას.

რამდენიმე სიტყვით, ასეთია ის ორგანიზაცია, რომლის დამყარებაც სურთ კოლექტივისტებს სოციალური რევოლუციის შემდეგ. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მათი პრინციპია - კოლექტიური მფლობელობა წარმოების იარაღებზე და თითოეულის შრომის ანაზღაურება, წარმოებაზე დახარჯული დროის მიხედვით. ამასთან, მხედველობაში მიიღება თითოეული მუშის შრომის მწარმოებლობაც. რაც შეეხება, კოლექტივისტების რეკომენდებულ პოლიტიკურ წყობას, მათთვის მისაღებია პარლამენტარიზმი, სახემეცვლილი გარკვეული სავალდებულო სადეპუტატო მანდატით და რეფერენდუმით ანუ საყოველთაო პლემბისციტით, როდესაც დასმულ შეკითხვაზე პასუხობენ - კი ან არას.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ეს წესრიგი სრულიად განუხორციელებლად მიგვაჩნია. თავდაპირველად, კოლექტივისტები იწყებენ რევოლუციური პრინციპის აღიარებით - კერძო საკუთრების გაუქმებით, მაგრამ იქვე უარყოფენ მას, როდესაც უცვლელად ტოვებენ წარმოების და მოხმარების ორგანიზების ისეთ მეთოდს, რომელიც სწორედ, კერძო საკუთრების და წარმოების იარაღებზე კერძო მფლობელობის შედეგად ჩამოყალიბდა. აცხადებენ რევოლუციურ პრინციპს და ამავე დროს, არ ცნობენ იმ უცილობელ შედეგებს, რომელიც მან უნდა მოიტანოს. ავინყდებათ, რომ წარმოების იარაღებზე (მიწა, ფაბრიკა, კავშირგაბმულობა, კაპიტალი და ა. შ. ) კერძო საკუთრების გაუქმების ფაქტმა, ახალ გზაზე უნდა დააყენოს საზოგადოება; მან გადატრიალება უნდა მოახდინოს მთელ წარმოებაში - როგორც მის მიზნებში, ისევე, საშუალებებში; როგორც კი მიწა, მანქანები, და ყველა სხვა, ჩაითვლება საერთო საკუთრებად, ადამიანებს შორის ყოველდღიურმა ურთიერთობამ ღრმა და არსებითი ცვლილება უნდა განიცადოს.

“დაე, ნუ იქნება კერძო საკუთრება, - ამბობენ ისინი და მაშინვე ცდილობენ მის შენარჩუნებას, მის ყოველდღიურ გამოვლინებაში - წარმოების კუთხით, თქვენ იქნებით კომუნისტური თემის ნაწილი; მინდვრები, იარაღები, მანქანები, ყველაფერი რაც აქამდე წარმოებულა: ფაბრიკები, რკინიგზა, პორტი, მაღარო და სხვ. - ყველაფერი საერთო იქნება. არავითარი კითხვა არ დაისმის თითოეულის მონაწილეობის შესახებ, ამ საერთო საკუთრებაში. მაგრამ, როდესაც საქმე მივა შრომის ანაზღაურებაზე, მეორე დღესვე დაიწყებთ კამათს ერთმანეთის წილზე, ახალი მანქანების, ახალი მაღაროების წარმოებაში მონაწილეობის შესახებ. შეეცადეთ, ზუსტად აწონოთ, თითოეულის წილისთვის შესაბამისი ნაწილი. დათვალეთ ნუთები და ეჭვის თვალით დააკვირდით, რომ თქვენი მეზობლის ერთი წუთის შრომით, უფრო მეტი რაოდენობის პროდუქტის

ყიდვა არ იყოს შესაძლებელი, ვიდრე თქვენი ერთი წუთით. საათების მიხედვით, რაიმეს გაბომბვა შეუძლებელია; რადგან, ერთ ფაბრიკაში, მუშა შესაძლოა ერთდროულად ექვს საფეიქრო დაზგას მეთვალყურეობდეს; მეორე დღეს კი - მხოლოდ ორს ადევნოს თვალყური. ამიტომ, დაიწყებთ თითოეულის მიერ დახარჯული ფიზიკური, გონებრივი და ნერვული ენერჯის ანონვას. ზუსტად გამოთვლით, თითოეული მშრომელის მომზადებაზე დახარჯულ წლებს - თითოეულის წილის განსაზღვრისთვის მომავალ წარმოებაში. ეს ყველაფერი, თქვენი განცხადების შემდეგ, რომ არ აპირებთ გაითვალისწინოთ, როგორი იყო, რომელიმე თქვენგანის მონაწილეობა წინა წლების წარმოებაში!”

ჩვენთვის ცხადია, რომ ვერავითარი საზოგადოება ვერ დაფუძნდება ორ, სრულიად საპირისპირო, მუდმივად ერთმანეთის მოწინააღმდეგე სანყისზე. ასეთი სახით ორგანიზებული ქვეყანა ან თემი, ძალიან მალე იძულებული გახდებოდა დაბრუნებოდა კერძო მესაკუთრეობას ან გადაქცეულიყო კომუნისტურ საზოგადოებად.

### III

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ზოგიერთი კოლექტივისტი ითხოვს განსხვავების დადგენას რთულ (კვალიფიციურ) და მარტივ (არაკვალიფიციურ) შრომას შორის.<sup>49</sup> ისინი თვლიან, რომ ინჟინრის, არქიტექტორის ან ექიმის ერთ საათიანი შრომა უდრის მჭედლის, კალატომის ან ექთნის ორი საათის მუშაობას და იგივე განსხვავება უნდა დაწესდეს, ერთი მხრივ - ყველა ხელობას შორის, რომელსაც მეტნაკლებად, ხანგრძლივი მომზადება სჭირდება და მეორე მხრივ - უბრალო, დღიურ მშრომელებს შორის.

მაგრამ, ასეთი განსხვავების დადგენა ნიშნავს, თანამედროვე საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის მთლიანად შენარჩუნებას. ეს ნიშნავს გამყოფი ხაზის წინასწარ გავლებას მუშებსა და მათ შორის, ვისაც პრეტენზია აქვს მათ მართვაზე. ეს ნიშნავს საზოგადოების დაყოფას ორ განცალკევებულ კლასად - მცოდნე არისტოკრატულად და მის ქვეშ მყოფ, დაკოჭრილ ხელებიანი მშრომელების მასად. ერთი კლასი მოემსახურება მეორეს; იმუშავებს, რათა გამოკვებოს და შემოსოს ადამიანები, რომლებიც რა თქმა უნდა, ისარგებლებენ ამგვარად მიღებული თავისუფალი დროით და ისწავლიან მათ მარჩენლებზე ბატონობას. უფრო მეტიც: ეს ნიშნავს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი შტრიხის აღებას და მის გაძლიერებას სოციალური რევოლუციის ავტორიტეტის საშუალებით; ეს ნიშნავს იმ ბოროტების დაბრუნებას სანყის მდგომარეობაზე, რასაც ვაწყდებით ძველ, დარღვევის პირას მყოფ საზოგადოებაში.

წინასწარ ვიცით, რასაც გვიპასუხებენ. ლაპარაკს დაიწყებენ “მეცნიერულ სოციალიზმზე”, დაიმონებენ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს - ასევე, მარქსს, რათა

დაასაბუთონ, რომ ანაზღაურების დაწესებულ გრადაციას გონივრული მიზეზები აქვს, რადგან ინჟინრის “სამუშაო ძალა” უფრო მეტი დაუჯდა საზოგადოებას, ვიდრე - მიწისმთხრელისა. მართლაც, განა ეკონომისტები არ ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ჩვენთვის, რომ ინჟინრის, მიწისმთხრელზე ოცჯერ მეტი ხელფასი გამონწვეულია მისი მომზადებისთვის “აუცილებელი” ხარჯების სიდიდით, მიწისმთხრელის მომზადებისთვის საჭირო ხარჯებთან შედარებით? განა მარქსი არ ამბობდა, რომ რაკი შრომა საქონელი ხდება, ლოგიკურად იგივე განსხვავება უნდა არსებობდეს ხელით შესრულებული შრომის სხვადასხვა დარგებს შორის? ის აუცილებლად უნდა მისულიყო ამ დასკვნამდე, როგორც კი მხედველობაში მიიღო რიკარდოს ღირებულების თეორია, რომლის მიხედვითაც საქონლის გაცვლა ხდება, მისი წარმოებისთვის აუცილებელი სოციალური შრომის რაოდენობის პროპორციულად.<sup>50</sup>

მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ დღეს ინჟინერი, მეცნიერი ან ექიმი იღებს ათჯერ და ასჯერ მეტს, ვიდრე მუშა. თუ, ფეიქარი იღებს გლეხზე სამჯერ მეტს და ასანთის ფაბრიკის მუშა ქალზე ათჯერ მეტს, ეს სრულებით არ არის დამოკიდებული “მათი წარმოებისთვის საჭირო ხარჯებზე”, არამედ ხდება ცოდნაზე არსებული მონოპოლიის ან მრეწველობისთვის სარგებლობის მოტანის მიზეზით. ინჟინერი, მეცნიერი და ექიმი უბრალოდ, ექსპლუატაციას უწევს ცნობილ კაპიტალს - დიპლომს - ისევე, როგორც ქარხნის მეპატრონე კუთვნილ ქარხანას ან თავადი-მემამულე - თავის ტიტულს.

რაც შეეხება, ქარხნის მესაკუთრეს, რომელიც ინჟინერს, მუშაზე ოცჯერ მეტს უხდის, იგი ამას აკეთებს, არა “წარმოების ხარჯის”, არამედ მარტივი გათვლების გამო. თუ ინჟინერი შეძლებს და დააზოგინებს მას ასი ათასს ფრანკს წელიწადში, მაშინ მესაკუთრე ოცი ათას ფრანკს გადაუხდის. თუ, ისეთ მუშათა მეთვალყურეს იპოვის, რომელიც მოხერხებულად შეძლებს მშრომელების შევიწროებას და მათი შრომის ანაზღაურებისას დააზოგინებს ათი ათას ფრანკს მშრომელზე, მაშინ ხალისით გადაუხდის მეთვალყურეს ორ ან სამ ათას ფრანკს წელიწადში. ბედმეტ ათასს ფრანკს გაიღებს მაშინ, როდესაც იცის რომ სანაცვლოდ ათი ათასს მიიღებს, ამაში მდგომარეობს კაპიტალიზმის არსი. იგივე შეიძლება ითქვას, ხელით შესასრულებელ სამუშაოებს შორის არსებულ განსხვავებაზეც.

ამ შემთხვევაში, როგორ შეიძლება ვთქვათ “წარმოების ხარჯზე”, რომ ის თითქოს განსაზღვრავდეს სამუშაო ძალის ღირებულებას? ნუთუ, იმ სტუდენტს, რომელმაც მხიარულად გაატარა ახალგაზრდობა უნივერსიტეტში, უფლება აქვს ათჯერ მეტი ანაზღაურება ჰქონდეს, ვიდრე ქვანახშირის მალაროელის შვილს, რომელიც თერთმეტი წლის ასაკიდან მალაროში ჭკნება? ნუთუ, ფეიქარს აქვს უფლება ჰქონდეს გლეხზე სამჯერ და ოთხჯერ მეტი შემოსავალი? ფეიქრის წარმოებისთვის აუცილებელი ხარჯი სულაც არ არის გლეხის წარმოებაზე სამჯერ

ან ოთხჯერ მეტი; უბრალოდ, ფეიქარი სარგებლობს იმ მომგებიანი მდგომარეობით, რომელშიც ჩაყენებულია ევროპული მრეწველობა სამინათმოქმედო ქვეყნებთან შედარებით, სადაც ჯერ კიდევ არ არის განვითარებული მრეწველობა.

ჯერ არავის არასოდეს დაუანგარიშია “ნარმოების ხარჯები”; თუ ზოგადად ამბობენ, რომ საზოგადოებას მუქთახორა უფრო მეტი უკდება, ვიდრე მუშა, მაშინ ჯერ კიდევ უცნობია ძლიერი დღიური მუშა უფრო მეტი დაუკდება თუ კვალიფიციური ხელოსანი; თუ გავითვალისწინებთ ყველა პირობას (მუშების ანემიით დაუძღურებულ შვილებს და მათ ნაადრევ სიკვდილიანობას), მაშინ პირველი უფრო მეტი ეღირება საზოგადოებისთვის, ვიდრე მეორე.

შეიძლება თუ არა დავუშვათ, რომ ოცდაათი სუ, რომელსაც დღეში იღებს პარიზელი მუშა ქალი ან ლონდონელი მკერავის ექვსი პენსი, ანდა გლეხის ორმოცი სუ, “მუშის, მკერავის და გლეხის ნარმოების ხარჯია?” კარგად ვიცით, რომ ადამიანს ხშირად უწევს იშრომოს უფრო ნაკლები ანაზღაურების გამოც, მაგრამ ისიც ვიცით, რატომ ხდება ეს - საზოგადოების ახლანდელი “ბრწყინვალე” მოწყობის პირობებში, აღნიშნული უმცირესი ანაზღაურების გარეშე, მშრომელს შიმშილით ამოხდებოდა სული. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ანაზღაურებათა კიბის საფეხურები, ნარმოადგენს მთელი რიგი პირობების რთულ რეზულტატს: გადასახადების, სახელმწიფოს ბრუნვის, კაპიტალისტური დაპყრობის, მონოპოლიების - ერთი სიტყვით, გამომდინარეობს სახელმწიფოსა და კაპიტალისგან. ანაზღაურებათა აღნიშნულ სკალასთან დაკავშირებული თეორიები, მისი ნარმოშობის შემდეგ შეიქმნა, არსებული უსამართლობის გამართლებისთვის; სწორედ ამიტომ არ უნდა მივიღოთ მხედველობაში ის დახვეწილი თეორიები, რომლითაც მის გამართლებას ცდილობენ.

ჩვენ შეიძლება შენიშვნა მოგვცენ, რომ ანაზღაურების კოლექტივისტური კიბე მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. “ჯობს, მუშათა ზოგიერთმა კატეგორიამ მიიღოს სხვაზე ორჯერ ან სამჯერ მეტი - გვეტყვიან, ჩვენ - ვიდრე, მინისტრებს იმდენი ჰქონდეთ დღეში, რამდენსაც მუშა ერთ წელიწადშიც ვერ გამოიმუშავენ. ყოველ შემთხვევაში, ეს არის თანასწორობისკენ გადადგმული ნაბიჯი.” ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირიქით, ეს იქნება უკან გადადგმული ნაბიჯი. **ახალ** საზოგადოებაში, განსხვავების დანესება მარტივსა და პროფესიულ შრომას შორის, როგორც უკვე ვთქვით, იმას მიანიშნებდა, რომ რევოლუციის დაკანონების შემდეგ, მთავარი საწყისი იქნებოდა ის უხეში მოვლენა, რომელსაც ახლაც ვემორჩილებით მაგრამ უსამართლობად მიგვაჩნია. ეს ნიშნავს, მოვიქცეთ იმათ მსგავსად, ვინც 1789 წლის 4 აგვისტოს მაღალფარდოვანი ფრაგებით გამოაცხადა ფეოდალური წესების გაუქმება, ხოლო 8 აგვისტოს, ზუსტად აღნიშნული წესები დააკანონა - გლეხები აიძულა თავი გამოესყიდათ მემამულეებისგან და ეს უკანასკნელნი, რევოლუციის მფარველობის ქვეშ

დააყენა. ეს ნიშნავს, მოვიქცეთ რუსეთის მთავრობის მსგავსად, რომელმაც გლეხთა განთავისუფლების დღეს გამოაცხადა, მიწა მემამულეებს ეკუთვნითო; მაშინ როდესაც, ადრე, გლეხებისთვის ნაწყალობევი მიწის გამოყენება ბოროტმოქმედებად ითვლებოდა. ავიღოთ, სხვა ცნობილი მაგალითი. როდესაც, 1871 წელს, პარიზის კომუნამ გადაწყვიტა თავისი საბჭოს წევრებისთვის გადაეხადა 15 ფრანკი დღეში, ხოლო სიმაგრეების დასაცავად მდგარი მუშებისთვის - მხოლოდ, 30 სუ, ამ გადაწყვეტილებას მიესალმნენ, როგორც დემოკრატიული თანასწორობის გამოვლინებას. სინამდვილეში კი, კომუნამ მხოლოდ დაამტკიცა, მოხელესა და სამხედროს, მმართველსა და მართულს შორის არსებული ძველი უთანასწორობა. რომელიმე პარლამენტის მიერ მიღებული ამგვარი ზომა, შეიძლება დადებითადაც შეფასებულიყო, მაგრამ კომუნისთვის ნიშნავდა საკუთარი რევოლუციური პრინციპის ღალატს და შესაბამისად, მის გმობას. კომუნას, მისთვის მებრძოლი მუშებისთვის იმ ანაზღაურების გადახდის მაგივრად, რომელზე არსებობაც მუშის ოჯახისთვისაც შეუძლებელი იყო, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყო თავისი მებრძოლების და მათი ოჯახების არსებობა.

თანამედროვე საზოგადოებაში, როდესაც ვხედავთ, რომ მინისტრი აიძულებს გადაუხადონ მას ასი ათასი ფრანკი წელიწადში, მაშინ როდესაც მუშა უნდა დასჯერდეს ათასს ან ნაკლებს; როდესაც ვხედავთ, რომ მუშების მეთვალყურეს ორჯერ და სამჯერ მეტს უხდიან, ვიდრე მუშას და თავად მუშებს შორისაც არსებობს სხვადასხვა ანაზღაურება - დღეში, ათი ფრანკიდან, გლეხის ექვს სუმდე - ჩვენ აღშფოთებული ვართ. გაბრაზებული ვართ არა მხოლოდ მინისტრის მაღალი ანაზღაურებით, არამედ მუშისა და გლეხის შემოსავალს შორის არსებული ამგვარი სხვაობით. ჩვენ, ვამბობთ: "გაუქმდეს, განათლებასთან დაკავშირებული პრივილეგიები, წარმომავლობასთან დაკავშირებულის მსგავსად!" მუშები იმიტომ ხდებიან რევოლუციონერები, რომ აღშფოთებული არიან ყოველგვარი პრივილეგიით. მაგრამ თუ გვაშფოთებს პრივილეგია თანამედროვე საზოგადოებაში, მაშინ როგორ უნდა მოვითმინოთ ისეთ საზოგადოებაში, რომელიც არსებობას იწყებს თანასწორობის გამოცხადებით? ზოგიერთი კოლექტივისტი ხვდება, რომ რევოლუციით განმსჭვალულ საზოგადოებაში ფეხს ვერ მოიკიდებს სახელფასო კიბე და აცხადებენ, რომ ის ყველასთვის ერთნაირი იქნება მაგრამ, აქ ახალ დაბრკოლებას აწყდებიან, რომელიც მათი სახელფასო თანასწორობიდან ისეთივე უტოპიას ქმნის, როგორც სხვების მიერ შემოთავაზებული სახელფასო კიბე.

საზოგადოება, რომელიც დაეუფლება მთელ სოციალურ სიმდიდრეს და ხმამაღლა განაცხადებს, რომ ყველას აქვს მასზე წვდომის უფლება, წარსულში როგორიც არ უნდა ყოფილიყო თითოეულის მონაწილეობა მის შექმნაში, - ამგვარმა საზოგადოებამ არ უნდა იფიქროს დაქირავებული შრომის ხელფასზე,



როგორი ფორმითაც არ უნდა იყოს ის წარმოდგენილი: ფულადი თუ სამუშო ჩეკის.

#### IV

“თითოეულს - განუული შრომის მიხედვით” - ამბობენ კოლექტივისტები ანუ სხვა სიტყვებით, თითოეულ ადამიანს, საზოგადოებრივი სამსახურისთვის მის მიერ გაღებული წვლილის მიხედვით. ამ პრინციპის პრაქტიკაში გადატანას გვთავაზობენ მას შემდეგ, რაც რევოლუცია საერთო საკუთრებაში გადასცემს შრომის იარაღებს და ყველაფერს, რაც საჭიროა წარმოებისთვის!

სოციალურ რევოლუციას, მართლაც რომ გამოეცხადებინა ეს საწყისად, ამით იგი გზას გადაუღობავდა კაცობრიობის შემდგომ განვითარებას და გადაუჭრელად დატოვებდა იმ უზარმაზარ საზოგადოებრივ ამოცანას, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ გასული საუკუნეებიდან. მართლაც, ისეთ საზოგადოებაში როგორც ვვაქვს, სადაც ვხედავთ რომ რაც უფრო მეტს შრომობს ადამიანი, მით უფრო ნაკლებს იღებს - ამგვარი საწყისი, ერთი შეხედვით, სამართლიანად გამოიყურება. მაგრამ სინამდვილეში, მხოლოდ წარსული დროის უსამართლობას ასახავს. დაქირავებული შრომა, სწორედ ამ პრინციპიდან [თითოეულს შრომის მიხედვით] იღებს სათავეს, რამაც თანდათან მიგვიყვანა უთანასწორობამდე და თანამედროვე საზოგადოების ყველა აღმაშფოთებელ მოვლენამდე. იმ დღიდან მოყოლებული, რაც ადამიანებმა დაიწყეს საზოგადოებისთვის განუული სამსახურის გამოძვა ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურებით - იმ დღიდან, რაც გამოცხადდა, რომ თითოეული იმდენს მიიღებს, რამდენის გადახდასაც აიძულებს თავის თავს, მის მიერ განუული სამსახურისთვის - აღნიშნული დღიდან წინასწარ დაიწერა კაპიტალისტური საზოგადოების მთელი ისტორია (სახელმწიფოს ხელშეწყობით). იგი არსებობდა ამ მთავარი საწყისის ჩანასახში.

ნუთუ, ახლა ისევ უნდა დავუბრუნდეთ საწყის პუნქტს და განვითარების იგივე გზა უნდა გავიაროთ? ჩვენი თეორეტიკოსები ამისკენ მისწრაფვიან. მაგრამ, საბედნიეროდ ეს შეუძლებელია. როგორც უკვე ვნახეთ, რევოლუციამ უნდა მიმართოს კომუნიზმს, სხვა შემთხვევაში, სისხლში ჩაიხშობა და საჭირო გახდება მისი ხელახლა დაწყება. საზოგადოებისთვის განუული სამსახური - იქნება ეს, ფაბრიკაში, მინდორში მუშაობა თუ მორალური ხასიათის სერვისი - ვერ შეფასდება ფულადი ერთეულით. მანუფაქტურულ წარმოებაში, არ არსებობს საშუალება დადგინდეს ზუსტი ღირებულება იმისა, რასაც არასწორად უწოდებენ საცვლელ ღირებულებას და არც ის, თუ რა ფასეულობას წარმოადგენს სარგებლობის მოტანის კუთხით. თუ ორი ადამიანი, წლების განმავლობაში მუშაობდა დღეში 5 საათს საზოგადოებისთვის სასარგებლო იმ სფეროში რაც ორივეს თანაბრად მოსწონდა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი შრომა

დაახლოებით ერთი ღირებულებისაა; მაგრამ ამ შრომის დანაწევრება შეუძლებელია; არ შეიძლება ვთქვათ, რომ ერთი მათგანის მიერ გაწეული თითოეული დღის, საათის, წუთის პროდუქტი უდრის მეორეს - წუთის, საათის ან დღის პროდუქტს.

ზოგადად, შეიძლება ითქვას რომ ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში იკლებდა თავისუფალ დროს, მუშაობდა დღეში 10 საათის განმავლობაში, უფრო მეტი მისცა საზოგადოებას, ვიდრე მან, ვინც მხოლოდ ხუთ საათს ან სულაც არაფერს იკლებდა. მაგრამ, არ შეიძლება ავიღოთ პროდუქტი, რომელიც მან აწარმოა ორი საათის განმავლობაში და ვთქვათ, რომ ეს პროდუქტი ორჯერ მეტი ღირს, ვიდრე სხვა ადამიანის მიერ, ერთ საათიანი შრომის შედეგად მიღებული და ორივეს შრომა ამგვარი დათვლის შედეგად ავანაზღაუროთ. ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ თვალი დავხუჭეთ მრეწველობის, მინათმოქმედების და საერთოდ, მთელი თანამედროვე ცხოვრების სირთულეზე; ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ არ შევნიშნეთ თუ რა ხარისხით არის თითოეული ინდივიდის ყოველი შრომა - მთელი საზოგადოების წარსული და ამჟამინდელი შრომის რეზულტატი. ეს იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ ვცხოვრობთ ქვის ხანაში, მაშინ როდესაც სინამდვილეში ვცხოვრობთ ფოლადის ხანაში. მაგალითად, შეიხედეთ ქვანახშირის მაღაროში და ნახეთ მუშა, რომელიც უზარმაზარი მანქანის წინ დგას. ის ზემოდან ქვემოთ და პირიქით, ამუშავებს ამწე გალიას, რომლითაც მაღაროდან ქვანახშირი ამოაქვთ. მის ხელში მქონე ბერკეტი ამუშავებს და აჩერებს მექანიზმს; ერთი გადანევით შეუძლია მიმართულება შეუცვალოს გალიის მოძრაობას, მაღლა ასწიოს და დაბლა დაუშვას თავბრუდამხვევი სიჩქარით. იგი ყურადღებით და დაძაბული ადევნებს თვალს მაჩვენებელს, რომელიც აღნიშნავს თუ სად იმყოფება გალია აღნიშნულ მომენტში; როგორც კი, გალია ბუსტად მიაღწევს გარკვეულ დონეს, მუშა მომენტალურად აჩერებს მანქანის მუშაობას - არცერთი მეტრით მაღლა ან დაბლა, საჭირო დონიდან. როდესაც, გალიიდან გამოაგორებენ ქვანახშირით დატვირთულ ვაგონებს და შეცვლიან ცარიელით, მუშა კვლავ სწევს ბერკეტს, არ კარგავს არც ერთ წამს და გალია ისევ ეშვება მაღაროს სიღრმეში. რვა ან ათი საათის განმავლობაში, მუშა იმყოფება ამგვარ, უკიდურესად დაძაბული ყურადღების მდგომარეობაში. მას რომ ნახევარი წუთით გაეფანტოს გონება მაჩვენებლისგან, გალია ჭერში აიჭრება, დაამსხვრევს ბორბლებს და გაჭლექს ადამიანებს. მთელი სამუშაო გაჩერდება მაღაროში. საკმარისია, სამი წამით გადააცილოს ბერკეტის მობრუნებას და მოპოვებული ქვანახშირის რაოდენობა შემცირდება (თანამედროვე გაუმჯობესებულ მაღაროებში) ოცდახუთ ან ორმოცდაათ ტონამდე, დღეში. შესაბამისად, ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი მაღაროში? ან იქნებ ის, ვინც გალიის აწევის სიგნალს აძლევს? იქნებ, თვითონ მაღაროელი, რომელიც ყოველ წუთს რისკის ქვეშ აყენებს საკუთარ სიცოცხლეს მაღაროს სიღრმეში და ადრე თუ გვიან, მაღაროს გაზით დაიღუპება?

ან იქნებ, ინჟინერი, რომელსაც გამოანგარიშებისას დაშვებული შეცდომით შეეძლო დაეკარგა ქვანახშირის ფენა და შტოლნი (გვირაბი) ცარიელ ადგილზე გაეყვანათ? თუ მეპატრონე, რომელმაც მთელი ქონება ჩადო ამ საქმეში და შესაძლოა, მაღაროს გათხრის დროს ყველა რჩევის საწინააღმდეგოდ ამბობდა: “აქ გათხარეთ, უფრო ღრმად და მშვენიერ ქვანახშირს ვიპოვით?” ან იქნებ, რომელიმე ბებერი მაღაროელი, რომელიც მეპატრონეს არწმუნებდა საქმე გაეგრძელებინა?

აღნიშნული მაღაროს ყველა მშრომელი, თავისი ძალ-ღონით, ენერგიით, ცოდნით, ჭკუით, მოხერხებით მონაწილეობს ქვანახშირის მოპოვებაში; ჩვენ, მართლაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ **თითოეულ მათგანს** აქვს სიცოცხლის და საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უფლება (მათ შორის თავისი ფანტაზიებისაც, მას შემდეგ, რაც ყველა იქნება უზრუნველყოფილი აუცილებელით). მაგრამ, როგორ უნდა შევაფასოთ, თითოეული მათგანის მონაწილეობა ფულით? თვითონ ქვანახშირიც, რომელსაც მოიპოვებენ - განა ის **მათი** და მხოლოდ მათ მიერ მოპოვებული პროდუქტია? განა, იმ ადამიანებსაც არ ეკუთვნით, ვინც გაიყვანა სარკინიგზო გზა, რომელსაც მაღარომდე მიყვავართ და სხივებივით ყველა სადგურისკენ მიმავალი სხვა გზები? განა მათი საქმეც არ არის, ვინც ამუშავებდა მინდვრებს, თესავდა, ჭრიდა ხეებს, ამზადებდა მანქანებს, რომელშიც ეს ქვანახშირი დაიწვებოდა? და, ასე უსასრულოდ!

შეუძლებელია რაიმე განსხვავების დაწესება, ერთისა და მეორის საქმეს შორის. აბსურდამდე მივალთ, თუ რეზულტატის მიხედვით გავზომავთ მათ დამსახურებას. იგივე მოხდება, თუ დავანაწევრებთ მას და სამუშაო საათების მიხედვით გავზომავთ. რჩება მხოლოდ ერთი გზა: ადამიანის საქმეზე მაღლა, მისი საჭიროებების დაყენება. თავდაპირველად, სიცოცხლის უფლების აღიარება, ხოლო შემდეგ კმაყოფილების უფლება ყველასთვის, ვინც რაიმე მონაწილეობას იღებს წარმოებაში.

აიღეთ, ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი დარგი, სხვა სასიცოცხლო გამოვლინებების ერთობლიობა - რომელ ჩვენგანს აქვს უფლება პრეტენზია ჰქონდეს უფრო მეტ ანაზღაურებაზე: ექიმს, რომელმაც ამოიციწო დაავადება, თუ ექთანს, რომელმაც უზრუნველყო გამოჯანმრთელება საგულდაგულო მოვლით? პირველი ორთქლმავლის გამომგონებელს თუ იმ ბიჭუნას, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს მობეზრდა სარქველის გასაღებად თოკის გამოწევა, რომელიც დგუშის ქვეშ უშვებდა ორთქლს და მოიფიქრა გამოება იგი მანქანის ბერკეტზე, თვითონ კი ამხანაგებთან სათამაშოდ გაიქცა; მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ამით აღმოაჩინა თანამედროვე ორთლის მანქანისთვის აუცილებელი ნაწილი - მექანიკური სარქველი? ლოკომოტივის გამომგონებელს თუ მუშას ნიუკასლიდან, რომელმაც აბრი გამოთქვა ხის ძელით შეეცვალათ ქვები, რომელზეც ადრე რელსებს აგებდნენ, რის გამოც, მატარებლები ხშირად

გადადიოდნენ რელსებიდან? ლოკომოტივის მემანქანეს თუ ადამიანს რომელიც მატარებლის გაჩერების სიგნალს აძლევს ან მისრეს, რომელიც გზას ხსნის?

ვის უნდა ვუმაღლოდეთ ტრანსატლანტიკური ტელეგრაფის არსებობას? იქნებ იმ ინჟინერს, რომელიც ბეჯითად ამტკიცებდა, რომ მავთულის კაბელი დეპეშას გადასცემდა, მაშინ როდესაც ყველა ამტკიცებდა აღნიშნულის შეუძლებლობას, მათ შორის ელექტროენერჯის დარგის მეცნიერი სპეციალისტები? იქნებ მეცნიერ მორისს, რომელმაც ურჩია მსხვილი კაბელი შეეცვალათ წვრილით? ან იმ უცნობ მოხალისეებს, რომლებიც უცებ გამოჩნდნენ, დღე და ღამეს ატარებდნენ “გრეტ ისტერნის” გემბანზე<sup>51</sup> და საგულდაგულოდ ათვალიერებდნენ კაბელის თითოეულ მეტრს, აძრობდნენ ლურსმნებს, რომლებსაც უცნობი ადამიანები არჭობნენ (ამბობდნენ, რომ ეს იყვნენ საზღვაო კომპანიების აქციონერები) საიზოლაციო ფენაში, რათა კაბელი გამოუსადეგარი გამხდარიყო?

რაც შეეხება, უფრო ფართო სფეროს - ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას, მისი სიხარულით, მწუხარებით, შემთხვევითობით - ნუთუ, თითოეულ ჩვენგანს არ შეხვედრია ისეთი ადამიანი, რომელმაც იმისთანა სამსახური გაუწია, რომ მის ფულად ანაზღაურებაზე ფიქრიც კი შეურაცხმყოფელი იქნებოდა? ზოგჯერ, ეს სამსახური მხოლოდ დროულად ნათქვამი სიტყვაა, ხანდახან კი თავდადებული ერთგულების თვეები და წლები. ნუთუ, ამ “ფასდაუდებელ” სამსახურსაც, სამუშაო ჩეკებში ავსახავთ?

“ყველას - განუული საქმის მიხედვით!”- ამბობენ, ისინი. მაგრამ, ადამიანურ საზოგადოებაში, მიყოლებით ორი თაობაც კი ვერ შეძლებდა არსებობას, თითოეულს ხანდახან იმაზე მეტი რომ არ გაელო სხისთვის, რისი მიღების იმედიც ექნებოდა სანაცვლოდ ფულის ან სამუშაო ჩეკის სახით. კაცობრიობას ბოლო მოეღებოდა, დედა ცხოვრებას რომ არ სწირავდეს თავისი შვილების გადარჩენისთვის; თითოეულ ადამიანს ხანდახან მაინც რომ არ გაეცა, გათვლის გარეშე; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არავითარ ანაზღაურებას არ ელის.

თუ ბურჟუაზიული საზოგადოება კვდება, თუ მოცემულ მომენტში ჩიხში ვიმყოფებით, რომლიდანაც თავს ვერ ვაღწევთ წარსულის დანესებულებების ნაჯახით და ცეცხლით განადგურების გარეშე; ეს ზუსტად იმიტომ ხდება, რომ ბევრს ვითვლიდით; იმიტომ, რომ მხოლოდ მიღების მიზნით გავცემდით; იმიტომ, რომ მოვინდომეთ, საზოგადოებისგან შეგვექმნა შემოსავალსა და გასავალზე დამყარებული კომერციული კომპანია.

თუმცა, კოლექტივისტებმა ეს თვითონაც იციან. ისინი ბუნდოვნად ხვდებიან, ბედმიწევნით მკაცრად რომ დაცულიყო წესი - “თითოეულს - განუული საქმის მიხედვით”, მაშინ ვერავითარი საზოგადოება ვერ გადარჩებოდა; მათაც ესმით,

რომ პიროვნების მოთხოვნილებები - არ ვსაუბრობთ კაპრიზებზე - ყოველთვის არ ემთხვევა მის საქმეებს. ასე, მაგალითად, დე პაპი <sup>52</sup> წერს:

“ამ წმინდა ინდივიდუალისტურ პრინციპს შეარბილებს საზოგადოების ჩარევა ბავშვთა და ახალგაზდების აღზრდის საქმეში (რაშიც მოაზრება მათი კვება და უზრუნველყოფა); ასევე, ჩარევა სოციალური ორგანიზების საქმეში ხეიბრების და სნეულების დასახმარებლად; ხანდაზმული მშრომელების პენსიებისთვის და ა.შ.  
”

როგორც ჩანს ესმით, რომ სამი შვილის პატრონ, ორმოცი წლის ადამიანს უფრო მეტი მოთხოვნები აქვს, ვიდრე ოცი წლის ახალგაზრდას; ქალი, რომელიც ბავშვს კვებას და მასთან ატარებს უძილო ღამეებს, ვერ შეძლებს იმდენივე საქმის გაკეთებას, რამდენსაც წყნარად გამოძინებული ადამიანი. როგორც ჩანს, ისიც ესმით რომ დაუძღვრებული ადამიანები, საზოგადოების სამსახურში ვერ შეძლებენ იმდენივე “საქმის” შესრულებას, რამდენსაც ისინი, ვინც თავის “ჩეკებს” იღებდა, სახელმწიფოს სტატისტიკის პრივილეგიურულ მდგომარეობაში. ამიტომ, ცდილობენ შეარბილონ საკუთარი პრინციპი. “დიახ, რა თქმა უნდა, - ამბობენ, ისინი - საზოგადოება იზრუნებს ბავშვთა კვებასა და აღზრდაზე, დაეხმარება მოხუცებს და ავადმყოფებს! დიახ, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მოთხოვნილებები გახდება ხარჯის საზომი, რომელსაც თავის თავზე აიღებს საზოგადოება, ძირითადი წესის - “ყველას, შესრულებული საქმის მიხედვით” - შესამსუბუქებლად. “ ერთი სიტყვით, ისევ ქველმოქმედებას ვიღებთ! იგივე, ქრისტიანული ქველმოქმედება, ოღონდ ამჯერად სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული. საჭიროა მხოლოდ, აღსაზრდელი სახლების გაუმჯობესება, სიბერისა და ავადმყოფობის დაზღვევის ორგანიზება და ძირითადი პრინციპი შერბილებულია! ისევ, იგივე სისტემა: “ჯერ ჭრილობა მიაყენე, შემდეგ უმკურნალე!”

ამგვარად, ეს უდიდესი ეკონომისტები იწყებენ კომუნიზმის უარყოფას და დაცინვით უყურებენ პრინციპს - “ყველას, მისი მოთხოვნილებების მიხედვით”; ბოლოს კი ხვდებიან, რომ ერთი რამ დაავინყდათ. კერძოდ, მწარმოებლების მოთხოვნილებები. საჩქაროდ აღიარებენ მას. მაგრამ, აღნიშნული მოთხოვნილებები სახელმწიფომ უნდა შეაფასოს; მან უნდა შეამოწმოს, მათი თანაბრობა თითოეულ შემთხვევაში. გასცეს მონყალა თუ არა.

შესაბამისად, სახელმწიფო თავის თავზე აიღებს ქველმოქმედებას - კოჭლ და უსინათლო მათხოვრებზე მზრუნველობას; აქედან კი, ინგლისის კანონმდებლის შესახებ და მუშათა სახლებამდე ანუ უპოვართა ცხემდე - მხოლოდ ერთი ნაბიჯია. შეუბრალებელი თანამედროვე სახელმწიფოც, რომლითაც აღშფოთებულები ვართ, იძულებული გახდა შეემსუბუქებინა საკუთარი ინდივიდუალიზმი; ისიც უნდა წასულიყო გარკვეულ დათმობებზე კომუნიზმის

მიმართულებით და ზუსტად ასევე, ქველმოქმედების ფორმით: მანაც შემოიღო აღსაზრდელთა და “მუშათა სახლები!” ზუსტად, ისევე არიგებს იაფ სადილებს - იმის შიშით, რომ მშვირებმა არ გაძარცვონ მაღაზიები. ასევე, ხსნის ხშირად ცუდ, ხანდახან მშვენიერ საავადმყოფოებს, რათა ხელი შეუშალოს გადამდები დაავადებების გავრცელებას: ვაი თუ, თვითონაც არ გადაედოთ! ასევე, თავდაპირველად უნაზღაურებს შრომის საათებს; შემდეგ კი, მათი შვილების აღზრდას იღებს თავის თავზე, ვინც სილატაკემდე მიიყვანა. მხედველობაში იღებს მოთხოვნილებებს და ამას აკეთებს - სახელმწიფოს მიერ ღარიბებზე ზრუნვის ფორმით.

როგორც ვნახეთ, გამდიდრების პირველი წყარო, სიღარიბე აღმოჩნდა; მან შექმნა პირველი კაპიტალისტი. მართლაც, “დამატებითი ღირებულების” გაჩენამდე, რომელზე საუბარიც ასე უყვართ ეკონომისტებს, საჭირო იყო ეარსებათ მშიერ ღარიბებს, რომლებიც თანახმა იქნებოდნენ გაეყიდათ საკუთარი სამუშაო ძალა. მათი სიღარიბე გახდა მდიდრების არსებობის საშუალება. და თუ, შეასაუკუნეების ბოლოს, ასე ძლიერ გაიზარდა სიღარიბე, ეს იმის წყალობით, რომ დაპყრობებმა და ომებმა, რაც მოჰყვა სახელმწიფოთა წარმოშობას და აღმოსავლეთის ექსპლუატაციით მიღწეულმა გამდიდრებამ, დაარღვია ადრე არსებული კავშირები ქალაქსა და სოფელს შორის, ქალაქიდან განდევნა სოფლის ლატაკები, რომელთა ჩაბმა დაქირავებულ შრომაში, ექსპლუატატორებს შეეძლოთ.

ნუთუ, რევოლუციის რეზულტატიც იგივე პრინციპი უნდა გახდეს? ნუთუ, ამ უბადრუკ რეზულტატს უნდა დავარქვათ “სოციალური რევოლუცია” - სახელი, რომელიც ძვირფასია ყველა მშიერი, დამცირებული და შეურაცხყოფილი ადამიანისთვის?

არა, ეს არ მოხდება! იმ დღეს, როდესაც ძველი დაწესებულებები დაემხოა პროლეტარების შეტევის ქვეშ, მაშინ გაჟღერდება - “პურის”, თავშესაფრის და ყველასთვის კმაყოფილების მოთხოვნის შეძახილები!

ეს ხმები შესმენილი იქნება. ხალხი იტყვის: “პირველ რიგში, დავაკმაყოფილოთ სიცოცხლის, სიხარულის და თავისუფლების ის წყურვილი, რომლის დაკმაყოფილებაც არასდროს შეგვეძლო! როდესაც, ამ ბედნიერებას განვიცდით, მაშინ შევუდგებით საქმეს! ბურჟუაზიული საზოგადოების უკანასკნელი კვალის, საბუღალტრო წიგნებით ნასაზრდოები მისი ზნეობის, “შემოსავლის და გასავლის” ფილოსოფიის, “ჩემსა და შენს” კუთვნილს შორის განსხვავების დამდგენელი ინსტიტუტების განადგურებას. როგორც, პრუდონი იტყოდა: “ჩვენ შევქმნით, განადგურებით. შევქმნით, კომუნიზმისა და ანარქიზმის სახელით.”<sup>53</sup>